პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---თებერვალი 2024 წელი

ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, მერაბ ალექსიძის III შესახვევისთვის ისტორიკოსის, ფილოლოგ ზაზა ალექსიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. საბურთალოს რაიონში, მერაბ ალექსიძის III შესახვევს მიენიჭოს ისტორიკოსის, ფილოლოგ ზაზა ალექსიძის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე



06-03230656-03

სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
LEPL KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

MES 1 23 0000254802

06/03/2023

ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ, რომ ა.წ. იანვარში გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საერთაშორისოდ აღიარებული მკვლევარი, ქართველოლოგიის, არმენოლოგიის ალბანოლოგიის და ზოგადად კავკასიოლოგიის სფეროში უამრავი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის და გელათის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ღირსების ორდენის კავალერი, პროფესორი ზაზა ალექსიძე, რომელიც თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს და, რომელიც სხვადასხვა დროს არჩეული იყო საზღვარგარეთის ქვეყნების ბევრი სამეცნიერო საზოგადოების წევრად და საპატიო წევრად.

აკადემიკოს ზაზა ალექსიძის სახელის უკვდავსაყოფად გთხოვთ განიხილოთ ქ. თბილისის ერთ-ერთი ქუჩისათვის მისი სახელის მინიჭების საკითხი.

ამასთან, გაახლებთ ზ. ალექსიძის ბიოგრაფიას.

პატივისცემით,

ზაალ აბაშიძე
დირექტორი
სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ზ. აბაშიძე

ბიოგრაფია

აკადემიკოსი ზაზა ალექსიძე დაიბადა ქ. თელავში 1935 წელს. 1953-1958 წწ. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის განხრით. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი 1964 წლიდან. 1979-2013 წლებში იყო თსუ არმენოლოგიის კათედრის გამგე; 1988-2006 წწ. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი; 2006-2013 წწ. ამავე ინსტიტუტის (ცენტრის) სამეცნიერო ხელმძღვანელი; 2015 წლიდან, გარდაცვალებამდე ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აღმოსავლურ და სომხურ ხელნაწერთა განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, სამეცნიერო საბჭოს წევრი. არჩეული იყო გელათის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (1995), საფრანგეთის წარწერათა და ნატიფი დამწერლობის აკადემიის წევრად (2010), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად (2013). სხვადასხვა დროს ლექციებს კითხულობდა ერლანგენის (ნიურბერგის) (გერმანია), ათენის ბიზანტიის ცივილიზაციის (საბერძნეთი), ფრანკფურტის (გერმანია) პიზის (იტალია) ლოს-ანჯელესის (აშშ) უნივერსიტეტში, საფრანგეთის სააზიო საზოგადოებასა და საფრანგეთის აკადემიაში.

არის 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. გარდაცვალებამდე იყო ხელნაწერთა ინსტიტუტის სამეცნიერო კრებულის „მრავალთავის“ რედაქტორი.

2003 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.